

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის ოქმი 1

პარიზი. 20 მარტი 1952

ოფიციალური თარგმანი

წინამდებარე ოქმის ხელმოწერმა მთავრობებმა, არიან რა ევროპის საბჭოს წევრები, გადაწყვიტეს მიიღონ ზომები ზოგიერთი უფლებისა და თავისუფლების კოლექტიური აღსრულებისათვის, იმ უფლებების გარდა, რომლებიც უკვე შეტანილი არიან რომში, 1950 წლის 4 ნოემბერს ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის პირველ ნაწილში, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 - ქონების დაცვა

ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება დაუბრკოლებლად ისარგებლოს თავისი ქონებით. არავის არ შეიძლება წაერთვას ქონება, იმ შემთხვევის გარდა, როცა ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვენ და იმ პირობებით, რომლებიც გათვალისწინებული არიან კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით.

ზემო დებულებები არანაირად არ ზღუდავენ სახელმწიფოს უფლებას უზრუნველყოს ისეთი კანონების შესრულება, რომლებიც მას აუცილებლად ესახება საკუთრების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებისათვის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ან ბევრის ან სხვა გადასახადების და ჯარიმების აკრეფის უზრუნველყოფისათვის.

მუხლი 2 - განათლების მიღების უფლება

არავის არ შეიძლება ეთქვას უარი განათლების მიღებაზე. სახელმწიფო ნებისმიერი ფუნქციის შესრულების დროს, რომელსაც იგი თავის თავზე იღებს განათლებისა და სწავლების დარგში, პატივს სცემს მშობელთა უფლებას უზრუნველყონ თავისი ბავშვებისათვის ისეთი განათლება და სწავლა, რომელიც შესაბამისობაში იქნება მათ რელიგიურ და ფილოსოფიურ რწმენასთან.

მუხლი 3 - თავისუფალი არჩევნების უფლება

მარალი ხელშეკვრული მხარეები ვალდებულია იღებენ გონებრივი პერიოდულობით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული ხმის მიცემის გზით იმგვარ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ხალხის თავისუფალი ნების გამოხატვას საკანონმდებლო ხელისუფლების არჩევაში.

მუხლი 4 - ოქმის მოქმედება ტერიტორიების მიმართ

ნებისმიერ მაღალ ხელშეკვრულ მხარეს შეუძლია ხელმოწერის ან რატიფიკაციის, ან ამის შემდეგ ნებისმიერ დროს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს გაუგზავნოს განცხადება თავისი ვალდებულებების საზღვრების შესახებ წინამდებარე ოქმის გამოყენებასთან დაკავშირებით განცხადებაში მითითებულ იმ ტერიტორიათა მიმართ, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც იგი პასუხისმგებელია.

ნებისმიერ მაღალ ხელშეკვრულ მხარეს, რომელმაც გააგზავნა განცხადება ზემო პუნქტის დებულებათა შესაბამისად, შეუძლია დროდადრო გააგზავნოს შემდგომი განცხადებები წინა განცხადებათა პირობების შეცვლის თაობაზე ან ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ წინამდებარე ოქმის გამოყენების შეწყვეტის შესახებ.

ამ მუხლის დებულებების შესაბამისად გაკეთებული განცხადება, განიხილება განცხადებად, რომელიც გაკეთებულია კონვენციის 5ნ-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 5- კონვენციასთან მიმართება

მაღალი ხელშეკრული მხარეები განიხილავენ წინამდებარე პროტოკოლის 1,2,3 და 4 მუხლებს, როგორც კონვენციის დამატებით მუხლებს; კონვენციის ყველა დებულება შესაბამისად გამოიყენება.

მუხლი 6- ხელის მოწერა და რატიფიცირება

წინამდებარე ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას; მისი რატიფიკაცია მოხდება კონვენციის რატიფიკაციასთან ერთად ან მისი რატიფიკაციის შემდეგ. ოქმი ძალაში შედის ათი სარატიფიკაციო სიგელის შესანახად ჩაბარების შემდეგ. ნებისმიერი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში მოახდენს ოქმის რატიფიკაციას, იგი ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელის შესანახად ჩაბარების შემდეგ.

სარატიფიკაციო სიგელები ბარდება შესანახად ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომელიც აცნობებს საბჭოს ყველა წევრს იმ სახელმწიფოთა შესახებ, რომლებმაც მოახდინეს ოქმის რატიფიცირება.

შესრულებულია პარიზში 1952 წლის 20 მარტს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ერთ ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივში. ამასთან ორივე ტექსტს აქვს თანაბარი ძალა. გენერალური მდივანი გაუგზავნის დამოწმებულ ასლებს თითოეულ მთავრობას, რომელიც ხელს მოაწერს წინამდებარე ოქმს.